



№ 00009632

15/12/2018

ფასდაკლების და სტიპენდიის დებულება

შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ (ს/კ 201954956) მფლობელობაში
არსებულ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ (ს/კ 212677094)
ერთადერთი დამფუძნებელ პარტნიორის
გადაწყვეტილება

მე, ლაშა კანდელაკიშვილი (პ/ნ 40001006991) როგორც შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ (ს/კ 201954956) დამფუძნებელი, რომლის მფლობელობაშია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ (ს/კ 212677094), მისი ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი, „ქუთაისის უნივერსიტეტი“ წესდების 9.4. „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ვიღებ გადაწყვეტილებას დამტკიცდეს დებულება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალური შეღავათების წესის შესახებ და დებულება შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტიპენდიების კატეგორიებისა და მათი მოპოვების წესის შესახებ შემდეგი სახით:

დებულება

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალური შეღავათების წესის შესახებ

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

- 1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს იმ სტუდენტთა კატეგორიას, რომლებიც შპს -ქუთაისის უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) სწავლის პერიოდში სარგებლობენ ფასდაკლებით, ადგენს ფასდაკლების ტიპებს, მისი გაცემის წესსა და გაუქმების პირობებს.
- 1.2 უნივერსიტეტში სტუდენტთა სოციალური შეღავათებით სარგებლობის წესის განხორციელებას ადმინისტრირებას უწევს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების სამსახური.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- 2.1 სტუდენტი- საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
- 2.2 ერთი ოჯახის წევრები - რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები, დედ-მამიშვილები, მშობლები და შვილები;
- 2.3 კურსდამთავრებული - უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული;
- 2.4 სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული საარსებო შემწეობის მიმღები პირი- სტუდენტი - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსის მქონე წევრი;
- 2.5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი - საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, რომელსაც შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი.

2.6 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან საქართველოს საერთაშორისო მისიებში მონაწილე სტუდენტი - პირი, რომელსაც შესაბამისი სამხელმწიფო ორგანოს მიერ მინიჭებული აქვს აღნიშნული სტატუსი.

2.7 სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების განვითარების სამსახური - აღნიშნული სამსახური არის უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტების მიერ სხვადასხვა შეღავათების სარგებლობის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 3. ფასდაკლების გავრცელების ფარგლები

3.1 ფასდაკლება ვრცელდება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისათვის 8 აქტიური სემესტრი, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტისათვის 4 აქტიური სემესტრი, ხოლო სადოქტორო პროგრამის სტუდენტისათვის 6 აქტიური სემესტრი და მოიცავს სემესტრში 30 კრედიტს.

3.2 ფასდაკლებით მოსარგებლე სტუდენტებისათვის, რომლებიც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოვიდნენ მობილობის წესით, ფასდაკლების გავრცელების ფარგლები მოიცავს ქუთაისის უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვიდან აკადემიური ხარისხის მინიჭებამდე პროგრამით განსაზღვრულ დარჩენილ პერიოდს, სემესტრში 30 კრედიტის ოდენობით.

მუხლი 4. ფასდაკლებით სარგებლობის უფლების მქონე პირები და ტარიფები

4.1 უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელიც ჩაირიცხა ქუთაისის უნივერსიტეტის შემდგომი საფეხურის პროგრამაზე - 30 %-იანი ფასდაკლება.

4.2 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული ერთი ოჯახის ორი ან მეტი წევრი - თითოეულზე 10%-იანი ფასდაკლება.

4.3 მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის - სწავლის ძველი საფასურის შენარჩუნება, თუკი ეს უკანასკნელი ნაკლებია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურზე და ერთი პროგრამიდან ერთდროულად მობილობით ირიცხება ორი ან მეტი სტუდენტი.

4.4 ბაკალავრიატის პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტი, რომელიც არის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სოციალურად დაუცველის სტატუსმინიჭებული ოჯახის წევრი და მისი სწავლა არ ფინანსდება სხვა რომელიმე წყაროს მიერ - გათავისუფლდება სწავლის გადასახადისგან.

4.5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი - პირი, რომელიც ჩაირიცხება უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამაზე 3.1. პუნქტში მითითებული წესითა და პირობებით ისარგებლებს 20%-იანი ფასდაკლებით.

4.6 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში ან საქართველოს საერთაშორისო მისიებში მონაწილე პირი, რომელიც ჩაირიცხება უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამებზე 3.1. პუნქტში მითითებული წესითა და პირობებით ისარგებლებს 20%-იანი ფასდაკლებით.

მუხლი 5. ფასდაკლებით სარგებლობის პირობები

5.1 აღნიშნული წესის 4.4 პუნქტი ვრცელდება ყოველ წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ჩარიცხულ მხოლოდ 3 სტუდენტზე, თუკი პრეტენდენტთა რიცხვი მეტია, მათ შორის შეირჩევა სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში მინიჭებული სამი ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე სტუდენტი.

5.2 სტუდენტი, რომელსაც ეკუთვნის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ფასდაკლებებიდან რამდენიმე, ისარგებლებს ერთი, ყველაზე მაღალი ფასდაკლებით.

მუხლი 6. ფასდაკლების გაუქმების საფუძვლები

თუ ფასდაკლების მქონე სტუდენტის სწავლის პერიოდი გახანგრძლივდა, 3.1 მუხლით განსაზღვრული ვადების ამოწურვის შემდეგ, მის მიერ სწავლის საფასურის გადახდა დარჩენილ პერიოდში განხორციელდება ფასდაკლების გარეშე, მოცემული პერიოდისათვის დადგენილი სწავლის საფასურის ოდენობისა და წესის შესაბამისად.

მუხლი 7. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების განვითარების სამსახური

7.1. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების განვითარების სამსახური ვალდებულია სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ დაწესებულ შეღავათებთან დაკავშირებით.

7.2. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების განვითარების სამსახურმა დროულად უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მოძიება საშეღავათო პირობებით მოსარგებლე სტუდენტების რაოდენობის შესახებ და აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის.

7.3 უნივერსიტეტის სტუდენტი, რომელიც თვლის, რომ დებულებაში მითითებული რომელიმე შეღავათით სარგებლობის ბენეფიციარია, წერილობითი განცხადებით, შესაბამისი შეღავათით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად მიმართავს სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების განვითარების სამსახურს.

7.4. სასწავლო პროცესების მართვისა და სტუდენტური სერვისების განვითარების სამსახური მის მიერ მოკვლეული ან სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების შესწავლის შემდგომ, თუ სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რომელიმე შეღავათით, უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს სტუდენტის მიმართ დებულებით გათვალისწინებული რომელიმე შეღავათით სარგებლობასთან დაკავშირებით.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

8.1 წინამდებარე წესი გავრცელდეს ქუთაისის უნივერსიტეტის 4.1 პუნქტით განსაზღვრულ იმ სტუდენტებზე, რომლებიც ამ წესის დამტკიცების მომენტში უკვე სწავლობენ უნივერსიტეტში, სწავლის დარჩენილი პერიოდის მანძილზე.

8.2 წინამდებარე წესი გავრცელდეს ქუთაისის უნივერსიტეტის 4.2 პუნქტით განსაზღვრულ იმ სტუდენტებზე, რომლებიც 2018-2019 სასწავლო წელს ჩაირიცხნენ და სწავლობენ უნივერსიტეტში.

დებულება

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტიპენდიების კატეგორიებისა და მათი მოპოვების წესის შესახებ

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს იმ სტუდენტთა კატეგორიას, რომლებიც შპს -ქუთაისის უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) სწავლის პერიოდში მოიპოვებენ უნივერსიტეტის მიერ გაცემულ სტიპენდიებს, აგრეთვე აწესრიგებს სტუდენტებისათვის სტიპენდიების გაცემის წესს და პირობებს.

მუხლი 2. სტიპენდიების სახეები და მათი მოცულობა

2.1 აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის:

- ა) 100%-იანი საბაკალავრო გრანტის სტიპენდია - თვეში 200 ლარი;
- ბ) ოქროს და ვერცხლის მედალოსნების სტიპენდია - შესაბამისად თვეში 80 და 70 ლარი;
- გ) ვარლამ ქელბაქიანის სახელობის სტიპენდია - თვეში 100 ლარი;
- დ) პირველი ხარისხის სტიპენდიები - თვეში 60 ლარი;
- ე) მეორე ხარისხის სტიპენდიები - თვეში 50 ლარი;
- ვ) მესამე ხარისხის სტიპენდიები - თვეში 40 ლარი

2.2. აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისათვის:

- ა) 100%-იანი სამაგისტრო გრანტის სტიპენდია - თვეში 200 ლარი

2.3. აკადემიური უმაღლესი განათლების დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის:

- ა) 100%-იანი სადოქტორო გრანტის სტიპენდია- თვეში 200 ლარი.

მუხლი 3. სტიპენდიის მოპოვების პირობები

3.1 ამ წესის 2.1 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიის მოპოვება შეუძლია მიმდინარე აკადემიური წლისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ბაკალავრიატისაკრედიტირებულპროგრამებზე ჩარიცხულ იმ 10 და მობილობის წესით სასწავლო წლის მანძილზე გადმოსულ იმ 10 სტუდენტს, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით სხვა პრეტენდენტებზე მაღალი საკონკურსო ქულა აქვთ.

3.2 ამ წესის 2.1 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიის მოპოვება შეუძლია ოქროს და ვერცხლის მედალოსნებს, რომლებიც სკოლის დასრულების წელსვე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ჩარიცხნენ ქუთაისის უნივერსიტეტის ბაკალავრიატის პროგრამებზე;

3.3 ამ წესის 2.1 პუნქტის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიის მოპოვება შეუძლია გასული აკადემიური წლის განმავლობაში სწავლის შედეგების მიღწევის დონის ყველაზე მაღალი შეფასებების მქონე იმ ერთ სტუდენტს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების მე-5 ან მე-7 სემესტრების სტუდენტთა შორის, რომელიც არ სარგებლობს ამ წესის 2.1 პუნქტის ა-ბ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტიპენდიებით (გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც, სტატუსის შეჩერების სემესტრების გაუთვალისწინებლად, სწავლობენ 8-ზე მეტი სემესტრის განმავლობაში).

3.4 ამ წესის 2.1 პუნქტის დ,ე,ვ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტიპენდიის მოპოვება შეუძლია გასული აკადემიური წლის განმავლობაში სწავლის შედეგების მიღწევის დონის ყველაზე მაღალი შეფასებების მქონეთითო სტუდენტს ბაკალავრიატის თითო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3, მე-5 ან მე-7 სემესტრების სტუდენტთა შორის, რომელიც არ სარგებლობენ ამ წესის 2.1 პუნქტის ა-ბ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტიპენდიებით (გარდა იმ სტუდენტებისა, რომლებიც, სტატუსის შეჩერების სემესტრების გაუთვალისწინებლად, სწავლობენ 8-ზე მეტი სემესტრის განმავლობაში).

3.5 ამ წესის 2.2 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიის მოპოვება შეუძლია მიმდინარე აკადემიური წლისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მაგისტრატურის აკრედიტირებულ პროგრამებზე ჩარიცხულ იმ 2 და მობილობის წესით სასწავლო წლის მანძილზე გადმოსულ იმ 2 სტუდენტს, რომლებსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით სხვა პრეტენდენტებზე მაღალი საკონკურსო ქულა აქვთ.

3.6 ამ წესის 2.3 პუნქტის ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტიპენდიის მოპოვება შეუძლია მიმდინარე აკადემიური წლისათვის დოქტორანტურის პროგრამაზე ჩარიცხულ, TOEFL-ის, GMAT-ისა და GRE-ის გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელ იმ ერთ დოქტორანტს, რომელიც ამავდროულად უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ მისაღებ გამოცდაში სპეციალობაში მიიღებს ყველაზე მაღალ შეფასებას (არანაკლებ 90 ქულისა).

მუხლი 4. სტიპენდიის გაცემის პირობები

4.1 სტუდენტი, რომელსაც ეკუთვნის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სტიპენდიიდან რამდენიმე, ისარგებლებს ერთი, ყველაზე მაღალი სტიპენდიით.

4.2 სტიპენდიები გაიცემა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში, ყოველთვიურად, სექტემბრიდან მაისის ჩათვლით, ამ თავის მე-2 მუხლის შესაბამისი პუნქტებით განსაზღვრული ოდენობით.

4.3 სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მისთვის სტიპენდიის მიცემა შეჩერდება. სტიპენდიის გადახდა განახლდება, თუ სტუდენტს აღუდგება სტატუსი სტიპენდიის მიღების უფლების პერიოდის დასრულებამდე.

4.4 იმ თვეში, რომელშიც სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი, სტიპენდია არ მიეცემა. სტატუსშეჩერებულად ითვლება თვე, რომელშიც სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს 16 ან მეტი დღის განმავლობაში.

მუხლი 5. სტიპენდიის გაუქმების საფუძვლები

5.1 მოცემული წესის 2.1 ა.ბ; 2.2 ა; 2.3 ა ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტიპენდია გაუქმდება მომდევნო აკადემიური წლიდან, თუკი განვლილი აკადემიური წლის სწავლის შედეგების მიხედვით სტუდენტის საშუალო აკადემიური მოსწრება იქნება 85 ქულაზე ნაკლები;

5.2 სტიპენდია გაუქმდება აგრეთვე სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში სტატუსის შეწყვეტის თვიდან.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“
ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი
ლაშა კანდელაკიშვილი

პატივისცემით,
რექტორი
ლაშა კანდელაკიშვილი

